

# საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის

## ბრძანება №83

2016 წლის 24 ოქტომბერი

ქ. თბილისი

### საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებულ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებში“ ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვბრძანებ:

#### მუხლი 1

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებულ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებში“ (სსმ III, 31.08.2006 წ., №117, მუხლი 1581) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 41-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7-მე-13 პუნქტები:

„7. ამ წესების 14<sup>15</sup> მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პრეტენდენტების მიერ ნარჩენი ხელმისაწვდომი მოცულობის მათ მიერ ასათვისებელი ოდენობის (მოთხოვნილი მოცულობა) თაობაზე განაცხადის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან წარდგენის ვადა 2016 წლისთვის გაგრძელდეს 1 დეკემბრამდე.

8. ამ წესების 14<sup>15</sup> მუხლის მე-5 პუნქტში გათვალისწინებული განაცხადის დამოწმების ვადა 2016 წლისათვის დადგინდეს განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღით, ხოლო ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში, განაცხადი დარეგისტრირდეს 1 (ერთ) სამუშაო დღეში.

9. ამ წესების 14<sup>15</sup> მუხლის მე-6 პუნქტში გათვალისწინებული ნარჩენი ხელმისაწვდომი მოცულობის განაწილება ხორციელდება განაცხადების რეგისტრაციის ვადის ამოწურვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

10. ამ წესების 14<sup>23</sup> მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის მსურველი პრეტენდენტების მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შესაბამისი განაცხადების წარდგენის ვადა 2016 წლისთვის გაგრძელდეს 1 დეკემბრამდე.

11. ამ წესების 14<sup>23</sup> მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილების სპეციალურ აუქციონს 2016 წლისათვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ატარებს ამ წესების 41-ე მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში.

12. ამ წესების 14<sup>24</sup> მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტრანზიტის (რეექსპორტის) მსურველი პრეტენდენტების მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შესაბამისი განაცხადების წარდგენის ვადა 2016 წლისთვის გაგრძელდეს 1 დეკემბრამდე.

13. ამ წესების 14<sup>24</sup> მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ სატრანზიტოდ ნებადართულ მოცულობის განაწილების სპეციალურ აუქციონს ატარებს ამ წესების 41-ე მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.“.

#### მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი

ილია ელოშვილი

